



საქართველოს განჯივნი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამომცემა
გამოდის 1957 წლიდან
№6 (274) ივნისი, 2014 წელი

გამომცემი - 2014

გზა და უღოცის

ნომერი:

თხზულის დარმაცოქიმიის
ინსტიტუტი - მნიშვნელოვანი
განაგხადი
გვ. 2


ხეუენეური დღეების
აქორდი
გვ. 3

აქეაღური თემა:
ინტერვიუ პროდესორ
ელმა ვაშაიძესთან
გვ. 4

უახლები მიღწევა დიანების
მეურნალობაში
გვ. 4

რესპუბლიკური
ხაუადმეოდო
განდაგვის პროგრამაში
გვ. 6

არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე) -
პრემია ორიგინალური
ხახუღიერო პროემიისთვის
გვ. 7



„სამედიცინო გაზეთი“ რედაქცია:

ვაჟა-ფშაველას
გამზირი №33,
ოთახი №600,
ტ.: 254-24-64

რედაქტორი:
დაღი გაგაშია
ტ.: 599 76 25 98

კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.: 555 29 98 27

დარეჟან კოშღაძე
ტ.: 558 17 08 47

ნატო ზოღვაძე
ტ.: 555 28 28 97

ელ-ფოსტა:
medpressa@yahoo.com



აქტიური საქმიანობა

პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის

გრძელდება უკვე ტრადიციულ ქცეული ლექციები, რომელსაც ჩვენს უნივერსიტეტში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები კითხულობენ.

ახლახან თსსუ-ს ესტუმრნენ დუიბურგის (გერმანია) ყბა-სახის პლასტიკური ქირურგიისა და იმპლანტოლოგიური კლინიკის პროფესორები, თსსუ-ის საპატიო დოქტორები: **ჰელმუტ ზიბერი, ანდრეას ჰამმახერი და ვიტორ ვაილერტი**, რომლებმაც სტუდენტებისა და დაინტერესებული სპეციალისტებისთვის საინტერესო ლექციები წაიკითხეს.

ლექციებს ესწრებოდნენ თსსუ-ის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **სამსონ მღებრიშვილი**, უნივერსიტეტის

პროფესორები, საუნივერსიტეტო კლინიკის ექიმები, სტუდენტები...

თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში გერმანელმა პროფესორებმა, ასევე, ჩატარეს კონსულტაციები და ოპერაციები.



ალსანიშნავია, რომ გერმანელი სტუმრები უკვე მეორე

თხედ იმყოფებოდნენ ჩვენს ქვეყანაში. სტუდენტების თქმით, მსგავსი ლექციები საუკეთესო საშუალებაა, რათა ისინი გაეცნონ ევროპული სპეციალისტების გამოცდილებას თუ მიღწევებს და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვის პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ.

ჯინიყური ახწი-ჩვევების ცენტრში

ტრენინგი მოქმედი აქონაბისთვის

საუნივერსიტეტო კლინიკებში ექიმებისა და ექთნების გადამზადება სამედიცინო უნივერსიტეტისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

ნატორმა, **მედეა ჯლარკვამ** აღნიშნა, პროექტი ხორციელდება თსსუ-ისა და აღნიშნული კლინიკის თანადგომით კერძოდ: ექთნებს საშუალება მიეცათ აიმაღლონ კვალიფი-

კაცია და გაიარონ 20-დღიანი დიპლომის შემდგომი კლინიკური უნარ-ჩვევების კურსი საექთნო საქმეში.

თსსუ-ის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორის, პროფესორ **ირმა მანჯავიძის** განმარტებით, ცენტრის ბაზაზე იგეგმება თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკების პერსონალის გადამზადება, რასაც ცენტრის ყველა პედაგოგი მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება. ამასთან, იგეგმება ტრენინგების ჩატარება ვინრო სპეციალიზაციით.

ტრენინგის დასრულების შემდეგ ჩატარდა გამოცდა და მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.



ახლახან, კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის ინიციატივით, ჩატარდა ტრენინგი – მოქმედი ექთნების დიპლომის შემდგომი კლინიკური უნარ-ჩვევების კურსი, რომელიც ამჯერად წარმატებით გაიარეს გივი ჟვანიას სახელობის საუნივერსიტეტო პედიატრიის აკადემიური კლინიკის ექთნებმა.

როგორც თსსუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდი-



ბავშვთა სერვის-სერვისი ფაუნდაციი

განსაკუთრებული მზრუნველობით



ბავშვთა საერთაშორისო დღე ტრადიციულად გამორჩეული დღე იყო თსსუ-ის |

სტომატოლოგიური კლინიკის პაციენტებისთვის – აქ გამართულ აქციაზე დიდი სითბოთი

და სიყვარულით უმასპინძლეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატარებს, რომ-



ვაქცინაციის

უანაპოქიშიის ინსტიტუტი მნიშვნელოვანი მანუსხლით

საგამოფენო ცენტრმა „ექსპო-ჯორჯია“, ივნისის თვეში, კოსმეტიკისა და ესთეტიკური მედიცინის მე-9 საერთაშორისო და სამედიცინო ტექნოლოგიების, ლაბორატორიული აღჭურვილობის, სტომატოლოგიის, ფარმაციისა და ოპტიკის მე-14 საერთაშორისო გამოფენებს უმასპინძლა.

დამთვალიერებელთა განსაკუთრებული დაინტერესება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის ექსპოზიციამ გამოიწვია, რომელთა მიერ აპრობირებული მედიკამენტებით და სამკურნალო საშუალებებით არაერთი პროფესიონალი დაინტერესდა.

პროფესორმა **ნანა გორგასლიძემ** – თსსუ-ის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა, აღნიშნა: – გამოფენაზე წარმოდგენილი გახლავთ საქართველოში წარმოებული პრეპარატები, მათ შორის, რამდენიმე პრეპარატია, რომელმაც დიდი აღიარება მოიპოვა უცხოეთში. ინტერესი ჩვენი პროდუქციის მიმართ თანდათან მატულობს. ამჟამად ირანიდან,

ჩინეთიდან გვაქვს შემოთავაზებები სხვადასხვა ქართული მედიკამენტის დასარეგისტრირებლად. განსაკუთრებით დიდი დაინტერესება ჩვენი



პრეპარატის – „კარიპაზიმის“ მიმართ. ამასთან, ვგეგმავთ მსოფლიო ბაზრის უფრო ფართოდ ათვისებას. კლინიკური აპრობაციისთვის უკვე მზადაა ახალი პრეპარატები. შევცდებით, ამ საქმეში აქტიურად ჩაერთონ თსსუ-ის კლინიკები. ვეცდებით, მეტი საინტერესო პროდუქტი შევთავაზოთ მომხმარებელს. სამედიცინო უნივერსიტეტის თანადგომა დიდი სტიმულია ჩვენი შემდგომი საქმიანობისა და საერთო წინსვლისთვის.

სტუდენტები ბათუმში



ამას წინათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის** სტუდენტურმა საზოგადოებამ ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში ჩაატარა შემეცნებითი კონფერენცია თემაზე – **რეაბილიტაცია**. კონფერენციას ესწრებოდნენ აჭარელი რეაბილიტოლოგები,

ადგილობრივი სარეაბილიტაციო ცენტრების ხელმძღვანელობა, ცენტრების თანამშრომლები და სტუდენტები. სტუმრებმა საზოგადოებას გააცნეს რეაბილიტაციის წარმოშობის ისტორია, მეთოდები, მუშაობის სპეციფიკა და ყველა დასმულ კითხვას გასცეს პასუხი. კონფერენციამ წარმატებით ჩაიარა, იგეგმება მორიგი შეხვედრები.

ლონისძეების ლამაზად ჩატარებაში დიდი იყო კლინიკის დირექტორის, მედიცინის აკადემიური დოქტორის, **დავით ხვედელიანის**, წვლილი, რომლის ხელმძღვანელობით კლინიკა აგრძელებს ათნეულობით დამკვიდრებულ ტრადიციებს და მაღალ დონეზე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობით, ახორციელებს სპეციალიზებულ სტომატოლოგიურ დახმარებას ყველა ასაკის პაციენტისთვის და, ასევე, პედაგოგიურ, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.



ევროპური მემკვიდრისთვის



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ყოველწლიურ ღონისძიება-პროექტში მონაწილეობას იღებდა საქართველოს 47 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა. სტუდენტური დღეები 2014-ის ფარგლებში ჩატარდა კულტურულ-შემოქმედებითი, ინტელექტუალური და სპორტული შეჯიბრებები.

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სტუდენტური დღეები 2014-ის საზეიმო დასურვა გაიმართა. პროექტის გამარჯვებულები სხვადასხვა მიმართულებისა და სახეობის მიხედვით გამოავლინეს კომპეტენტურმა ჟიურმა და მსაჯებმა. დაჯილდოვდნენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე, გუნდურ ნომინაციებში გამარჯვებულები. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 47 უმაღლეს სასწავლებელს შორის

მეორე ადგილზე გავიდა და შემდეგ ნომინაციებში მოიპოვა გამარჯვება: საუკეთესო ქორეოგრაფია - „2013 წლის საუკეთესო ანსამბლის“ საპატიო ტიტულის მფლობელი, თსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული სახალხო ანსამბლი (ხელმძღვანელი - ბადრი მაჭავარიანი, მთავარი ქორეოგრაფი - დავით დარახველიძე, ქორეო-

გრაფი - ინეზა კუპრეიშვილი); საუკეთესო თეატრალური დასი (თეატრი „პიგია“, რეჟისორი - ნათია გუჯაბიძე); საუკეთესო მან-სან-კანი; ყველაზე კრეატიული წარმოდგენა; ბადმინტონში უცხოენოვანი ფაკულტეტის სტუდენტებმა, როგორც გოგონებმა, ასევე, ვაჟებმა, საპატიო პირველი ადგილი დაიკავეს.

პროექტში განსაკუთრებულად აქტიურად იყვნენ ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც გამორჩეულად გულშემატკივრობდნენ თავიანთ მეგობრებს.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დიდი მხარდაჭერა სტუდენტებისადმი. **ლამა ლოჯანიძე**, თსუ - ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი


სამეცნიერო ახარ-ჩვევები

სტუდენტური ცხოვრების უნივერსალურობა ნაწილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტური სამეცნიერო ფორუმების მომზადებისა და ჩატარების ტრადიცია გრძელდება. კვლევითი უნარ-ჩვევების დაფუძნება ავითარებს სტუდენტის ანალიტიკურ აზროვნებას, განსჯის, ეფექტური გადამწყვეტილების მიღების უნარს, ხელს უწყობს სამედიცინო დის-

ციპლინების ღრმა და გააზრებულ შესწავლას, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობას.

შესრულებული მაღალი პასუხისმგებლობითა და მონდომებით. ბევრი მათგანისთვის აუდიტორიის წინაშე წარდგომა პირველი გამოცდილების შექმნა იყო. აღსანიშნავია პროფესორ-მასწავლებლების, ასისტენტ-პროფესორების: **მარინა ყაჯრიშვილის, ლილი ლომთაძის, დლი კიტოვანის** დაუღალავი შრომა ნაშრომების მომზადებასა და სელექციაში. ძნელია 200-ზე მეტი ნაშრომიდან ამოარჩიო საუკეთესო და გზა მისცე საჯაროდ წარსადგენად. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი პარტნიორი - ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრორექტორმა და უახლოესი მეზობელი ქვეყნის - სომხეთის სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა, ბატონმა **სეირან ქოჩარაძემ** და ქალბატონმა **ნუნე ქოჩარაძემ**.



ფაკულტეტის სტუდენტები უკვე მრავალი წელია პირველ კურსზე გადიან სასწავლო კურსს - „სამედიცინო სოციოლოგიის საფუძვლები (კურსის ავტორი, ასოცირებული პროფესორი **ირინე ზარნაძე**)“. სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით, ყოველწლიურად გეგმავენ და ახორციელებენ კვლევებს ჯანდაცვის მეცნიერების მნიშვნელოვან საკითხებზე, რონმელიც, ამავდროულად, ჩვენს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისა და მოსახლეობის სტრატეგიულ პრობლემას წარმოადგენს.

კონფერენციაზე წარდგენილი იყო 28 სტუდენტის 26 ნაშრომი -

ციპლინების ღრმა და გააზრებულ შესწავლას, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობას.

კონფერენციაზე წარდგენილი იყო 28 სტუდენტის 26 ნაშრომი -

კონფერენციის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები. კიდევ ერთი საინტერესო და დასამახსოვრებელი დღე ჩაინერა სტუდენტთა ცხოვრებაში.

წრეწინგვა ახალი ფორმატით

კლუბ „ვიტალისის“ ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ივ. თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მხარდაჭერითა და თსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის ეგიდით, ჩატარდა სემინარი - „სამეცნიერო კვლევის საფუძვლები“, რომელზეც საინტერესო მოხსენებები გააკეთეს სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა **ლუიზა გაბუნია**მ, სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის უფროსმა სპეციალისტებმა: **შორენა ხეცურიანმა** და **ნათია გამყრელიძემ**, ისაუბრეს სამეცნიერო კვლევასთან ასოცირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, სამეცნიერო სტატიის, აბსტრაქტის, საგრანტო პროექტის წერის თანამედროვე მიდგომებზე; უპასუხეს სტუდენტებისათვის საინტერესო კითხვებს, რაც, აუცილებლად დაეხმარება მათ მომავალ სამედიცინო საქმიანობაში, რამეთუ ექიმის პროფესიული განვითარება ყოველთვის იყო, არის და იქნება დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიებასთან სამეცნიერო საძიებო ბაზებიდან, სამეცნიერო პუბლიკაციების კრიტიკულ კითხვასთან, ანალიზთან და სხვ. გაიმართა საინტერესო დებატები, სადაც აღინიშნა სტუდენტთა მაღალი ინტერესის შესახებ სამეცნიერო კვლევებთან მიმართებაში. ისინი განსაკუთრებით დაინტერესდნენ სტატიის, საგრანტო პროექტის წერის თანამედროვე ასპექტებით და პლაგიატიზმის საკითხებით.



ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

პროფესორი **ლუიზა გაბუნია**, თსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი



აქტიური სიყმატე



ინფექციური დაავადებები – მიზეზები და პრევენცია

ქალბატონო ელზა, ზაფხული სხვადასხვა ინფექციის გავრცელებისთვის მეტად ხელსაყრელი პერიოდია. რას გვეტყვი ინფექციური დაავადების სეზონური მატების თვალსაზრისით ქვეყანაში შექმნილ ამჟამინდელ ვითარებაზე?

ზაფხულის დადგომასთან ერთად მართლაც მატულობს ინფექციური დაავადებების შემთხვევათა რაოდენობა, რაც, ძირითადად, ნაწლავურ ინფექციებთანაა დაკავშირებული. ამას აქვს თავისი მიზეზები: ქვეყანაში ჯერ კიდევ არაკეთილსამიერო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური პირობებია, რის გამოც სრულად არაა უზრუნველყოფილი წყლისა და საკვები პროდუქტების უსაფრთხოება (განსაკუთრებით – რეგიონებში); გარდა ამისა, მოსახლეობის დიდი ნაწილი (ძირითადად – სკოლის მოსწავლეები და მოზარდები) არ იცავს პირადი ჰიგიენის ელემენტარულ წესებს, რაც ხშირად ხელისაყრელია და გამძინარე წყლით აუცილებლად დაბანას გულისხმობს. რაც შეეხება ამჟამინდელ ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას, წინა წლების ანალოგიურია, რამე განსხვავებული ვითარება ნამდვილად არ არის.

ბოლო დროს გახშირდა მენინგიტი ავადობის შემთხვევები, განსაკუთრებით – ბავშვთა ასაკში. თუ შეიძლება, გვესაუბრეთ გამომწვევ მიზეზებსა და დღევანდელ ვითარებაზე აღნიშნული თვალსაზრისით.

2014 წლის გაზაფხულიდან მკვეთრად მოიმატა ვირუსული მენინგიტი ავადობის შემთხვევებმა. თუმცა ჩვენი ქვეყნის ეპიდემიოლოგები ამ მატებას ეპიდემიას არ უწოდებენ (ყველა ინფექციური დაავადებისთვის არსებობს ეპიდემიოლოგიური კრიტერიუმები, რომელზე დაყრდნობითაც სიტუაცია ფასდება ან როგორც ავადობის მატება, ან როგორც ეპიდემია). 2-3 კვირის წინ ყოველდღიურად 2-3 ათეული ახალი შემთხვევის დიაგნოზი იმეზობდა, ამჟამად სიტუაცია მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ არ ყოფილა არც ერთი განსაკუთრებით მძიმე ან ლეტალობით დამთავრებული შემთხვევა. დასაწყისში ავადმყოფები ძირითადად დაბალი კლასების მოსწავლეები იყვნენ, მოგვიანებით ეპიდემიის მატება დაიწყო მთლიანად დაბალი კლასების მოსწავლეები და მოზარდები. ჩვენი კლინიკური შემთხვევების ლაბორატორიული მასალის კვლევები ტარდება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ვირუსოლოგიურ ლაბორატორიაში. უკვე ცნობილია, რომ მიღებულია ერთ-ერთი ენტეროვირუსით – ECHO 30-ით ამ შემთხვევების გამოწვევის დადასტურება. რაც შეეხება ინფექციის გავრცელების მიზეზებს, აქაც იგივე პრობლემასთან გვაქვს საქმე: სკოლებში, განსაკუთრებით – დაბალ კლასებში, მოსწავლეების დიდი რაოდენობა (30-40 მოსწავლე თითოეულ კლასში) და მათ მიერ პირადი ჰიგიენის ელემენტარული წესების დაუცველობა სერიოზულ რისკ ფაქტორს წარმოადგენს დაავადების გავრცელების თვალსაზრისით.

ვირუსისგან თავდაცვის მიზნით? – ამ კითხვაზე პასუხი პრაქტიკულად უკვე გავეცი, თუმცა ისევ და ისევ გავიმეორებ: ერთმნიშვნელოვნად, კვებისა და პირადი ჰიგიენის წესები მკაცრად უნდა დაიცვას ყველა მოზარდი; მშობელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ჩვევის ჩამოყალიბებას ბავშვში. ამასთან, ინფექცია ჯერჯერობით აზიის ფარგლებს არ გასცილებია, ასევე არ გვაქვს ინფორმაცია მისი მოსალოდნელი გლობალური გავრცელების შესახებ. – ადამიანიდან ადამიანზე ვირუსის გადაცემა რა გზით ხდება, ანუ როგორ შეიძლება ავიცილოთ დანიფიცირების რისკი? – ადამიანიდან ადამიანზე ვირუსის გადაცემა მჭიდრო კონტაქტით, ჰაერ-წვეთოვანი გზით ხდება. რადგან ვაქცინაცია არ არსებობს, დანიფიცირებისგან თავის არიდება მხოლოდ ჰიპერენდემურ კერებში მოგზაურობისაგან თავის შეკავებითაა შესაძლებელი. – შეუძლებელია არ შევეხოთ ჰეპატიტის თემას, მით უფრო, რომ ბოლო დროს გავრცელდა სისხარული ინფორმაცია C ჰეპატიტის მკურნალობაში სერიოზულ მიღწევასთან დაკავშირებით, რაც მის სრულ განკურნებას გულისხმობს. ამ ინფორმაციამ სანუგეშოდ გაიქცა მრავალთათვის, მით უფრო, ჩვენს ქვეყანაში, სადაც ამ ვირუსით უამრავი ადამიანი ინფიცირებულია. რას გვეტყვი ამის შესახებ, რამდენად არსებობს ოპტიმიზმის საფუძველი? – დას, C ჰეპატიტის გავრცელებასთან დაკავშირებული ეპიდემიოლოგია ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად შემთხვევითია. დადგენილია, რომ საქართველოს მოსახლეობის ინფიცირების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში. სერიოზული წარმატებები C ჰეპატიტის მკურნალობის საქმეში დაიწყო 2 000 წლიდან, როცა პეგილირებული ალფაინტერფერონისა და რიბავირინის კომბინაციის 24-48 კვირიანი კურსით პაციენტთა 50-70 %-ის განკურნება გახდა შესაძლებელი. მოგვიანებით, 2011 წლიდან დარეგისტრირებული ორი ახალი პრეპარატი (ბოცეპრევირი და ტელაპრევირი) მკურნალობის შედეგები კიდევ უფრო გაუმჯობესდა და სამი პრეპარატის კომბინაცია – ალფაინტერფერონი+რიბავირინი+ბოცეპრევირი – უკვე ქრონიკულ პაციენტთა 75%-ის განკურნების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, აღსანიშნავია ამ ახალი პრეპარატების ძალიან მაღალი ფასი და მათი გამოყენებისას მძიმე, ზოგჯერ სიცოცხლისათვის საშიში, გართულებების განვითარების შესაძლებლობა. ნამდვილად პერსპექტიული და იმედისმომცემია 2014 წლის დასაწყისში დარეგისტრირებული კიდევ რამდენიმე ახალი ანტივირუსული პრეპარატი ამ ახალი ჯგუფიდან (პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული პრეპარატები ე.წ. DAA): სოფოსბუვირი ანუ სოვალდი, სიმეპრევირი და დაკლათასვირი. ახალი პრეპარატები გამოირჩევა მაღალი ანტივირუსული აქტივობით და ინიშნება ინტერფერონებზე გაცილებით ხანმოკლე კურსით (12-24 კვირა). მათი გამოყენებით უკვე შესაძლებელია ინფიცირებულითა 90%-ის ვირუსისგან გათავისუფლება; აღნიშნულ პრეპარატებს არა აქვს გვერდითი ეფექტები, გარდა ამისა, მათი დანიშნვა შესაძლებელია უკვე განვითარებული ღვიძლის ციროზით დაავადებულ პაციენტებში და, ასევე, ხანშიშესულებში (განსხვავებით ინტერფერონებისაგან). აღსანიშნავია, რომ მკურნალობა ახალი პრეპარატებით, ძალიან მაღალი ფასის გამო (სამთვიანი კურსი ჯერჯერობით 80-100 ათასი დოლარი ღირს) ჩვენი პაციენტებისათვის, პრაქტიკულად, ხელმიუწვდომელია, თუმცა, თავისთავად ის ფაქტი, რომ უკვე არსებობს ვირუსისგან განკურნების შესაძლებლობა, ვირუსული ჰეპატიტის მკურნალობაში მნიშვნელოვნად წინგადადმული ნაბიჯია.

დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის. ნატო გოლქვაძე


აქტიური მიჯნვერა

მეტაბოლურ-ბიოქიმიური ქირურგია – ოპტიმისტური გზა მომავლისკენ

ახლახან, ქართველი მედიკოსების მიერ ათვისებული და სანიმუშოდ ჩატარებული ოპერაციების შედეგად, წარმატებით განიკურნა დიაბეტი ტიპი-2-ის მქონე რამდენიმე პაციენტი.

ქირურგებმა – მედიცინის დოქტორებმა: მამუკა გონჯილაშვილმა, ნიკოლოზ გვახარამმა, მანანა გოგოლმა და ენდოკრინოლოგმა, მედიცინის დოქტორმა მაკა კვირიკაშვილმა, თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს მეტაბოლური ქირურგიის განყოფილებაში, უახლესი თანამედროვე სამედიცინო აპარატურის გამოყენებით, წარმატებით განახორციელეს რამდენიმე ურთულესი ოპერაციული ჩარევა დიაბეტი ტიპი-2-ის მქონე პაციენტებზე.

უამად ქართველი მედიკოსებიც შეეჭიდნენ, უმნიშვნელოვანესია მთელ მსოფლიოში ამ სენით შეპყრობილი მილიონობით ადამიანისთვის. კერძოდ, ამ შემთხვევაში, გარკვეული მონაცემების მიხედვით, შეიქმნა ნორმალური ნონის, დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ სავალდებულო კვლევები. ოპერაციული ჩარევა მოხდა იმ



წყლოვანი ცვლის ნორმალიზება. ოპერაცია დადებით შედეგს იძლევა დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ჩვეულებრივი ნონის ადამიანებისთვის, ანუ პაციენტი საბოლოოდ თავისუფდება. აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდი უკვე თერთმეტი წელია წარმატებითაა დანერგილი მსოფლიოში და ამ მხრივ დაგროვილი გამოცდილების გამოყენებით, ქართველმა სპეციალისტებმა კი თბილისში ინდოელ პროფესორ სურენდრა უგალსთან ერთად ჩატარდა, რომელიც, როგორც ოპერატორი, ერთ-ერთი პიონერია ამ მიმართულებით.

პროცესის ასამუშავებლად, რომლის მიხედვით ხდება ორგანიზმის ზოგიერთი ფიზიოლოგიური მექანიზმის გააქტივება, პანკრეასის ბეტა-უჯრედების მიერ ინსულინის სეკრეციის გაძლიერება და ნახშირ-წყლოვანი ცვლის ნორმალიზება.

დასაწყისში, როგორც ნინა ეპიდემიის დროს. უკვე აღწერილია ამ ახალი ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის დადასტურებული შემთხვევები.

ფლდება ყოველგვარი მედიკამენტისა და დიეტისგან; ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში, იკურნება მოუფლელი დიაბეტიც, 45 %-ში იხსნება ინსულინი, აღარ პროგრესირებს მიკრო და მაკროანგიოპათიების განვითარება. აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდი უკვე თერთმეტი წელია წარმატებითაა დანერგილი მსოფლიოში და ამ მხრივ დაგროვილი გამოცდილების გამოყენებით, ქართველმა სპეციალისტებმა კი თბილისში ინდოელ პროფესორ სურენდრა უგალსთან ერთად ჩატარდა, რომელიც, როგორც ოპერატორი, ერთ-ერთი პიონერია ამ მიმართულებით.



დაჩქარა კომლაკი, მანანა ფხალაძე

დაჩქარა კომლაკი, მანანა ფხალაძე



შემაჯავრობების ცერემონია

სხვადასხვა თაობა „წითელი დაბაზის“ სცენაზე

ქართველი ექიმები რომ შემოქმედებითი ნიჭითაც გამოჩნდებიან არიან, კიდევ ერთხელ დაადასტურა უნივერსიტეტის „წითელი დაბაზის“ ახლახან გამართულმა კონცერტმა, რომელშიც თსუ-ის კურსდამთავრებულები და სტუდენტები მონაწილეობდნენ. უნივერსიტეტის ეზოს ამსახველი პანოს ფონზე პუბლიკას მიესალმნენ კონცერტის წამყვანები, თსუ-ის კურსდამთავრებულები: ფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტი-პროფესორი გიორგი

მა ნომერმა; განსაკუთრებული ოვაცია სხვა ნილად პატარა მომღერლის, პროფესორი არჩილ ასათიანის შვილიშვილის, **ლიზი ჩაჩუას**, მიერ არაჩვეულებრივად შესრულებულ სიმღერას; მაყურებელი მოხიბლა ჰისტოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტი-პროფესორის, თეატრ „ჰიგას“ რეჟისორის, **ნათია გუჯაბიძის** და თსუ-ის სტუდენტის **ოთარ ბუხ**

თსუ-ის თავყვანიმცემლებს კარგად ახსოვთ უნივერსიტეტის ანსამბლი „ფესვები“, რომლის წევრთა უმრავლესობა მოგვიანებით ანსამბლ „შიდკაცაში“ გაერთიანდა. ამიტომაც მაყურებელი გულთბილად შეეგება „შიდკაცას“ სცენაზე გამოჩენას და მის მიერ არაჩვეულებრივად შესრულებული ქალაქური სიმღერები გულწრფელი ოვაციით დააჯილდოვა.

პუბლიკას მიესალმა უნივერსიტეტის სპორტის და ხელოვნების ცენტრის დირექტორის მოადგილე, ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი, **ბ-ნი ბადრი მაჭავარიანი** (მთავარი ქორეოგრაფი: **დავით უგრეხელიძე**, ქორეოგრაფი: **ინეზა კუპრეიშვილი**), რომელმაც აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელიც არაერთი ვილდოს თუ პრიზის მფლობელია, ოქტომბერში მნიშვნელოვანი თარიღის – დაარსებიდან 30 წლის აღსანიშნავად ემზადება. კონცერტი სწორედ სახალხო ანსამბლის მიერ შესანიშნავად შესრულებულმა საცეკვაო ნომერმა დაასრულა მაყურებელთა ოვაციის თანხლებით.

კონცერტს ესწრებოდა და საზოგადოებას მიესალმა სახელოვანი ქართველი კომპოზიტორი **ვაჟა აზარაშვილი**, რომელმაც კმაყოფილება გამოხატა იმის გამო, რომ ექიმები და მუსიკოსები ასე ახლოს დგანან ერთმანეთთან შემოქმედებითი თვალსაზრისით; რწმენა გამოთქვა, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება და კიდევ ბევრი საინტერესო კონცერტის მომსწრენი გავხდებით მომავალშიც.

ნატო ბოლქვაძე



გიორგი **ჭიჭინაძე** და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამართველოს მთავარი სპეციალისტი **ტატა ხვედელიანი**, რომლებმაც სითბოთი და ერთგვარი ნოსტალგიით გაიხსენეს სტუდენტობის პერიოდი, უნივერსიტეტთან დაკავშირებული ლამაზი წლები და, როგორც მათ, ისე კონცერტის თითქმის ყველა მონაწილემ სიამაყით აღნიშნა, რომ ეს კავშირი უნივერსიტეტსა და მათ შორის არასოდეს განწყვეტილა და დღემდე გრძელდება. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, რომელთა გამოსვლას მაყურებელი ოვაციებით შეხვდა: თსუ-ის კურსდამთავრებული, ექიმი სექსოპათოლოგი, მომღერალი **გია ბეროშვილი** და თსუ-ის სამედიცინო ცენტრის ანსამბლი „**ვევა**“; მაყურებლის მონაწილეობა დაიმსახურა პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, **თეიმურაზ პეტრიაშვილის**, ემოციურმა გამოსვლამ და მის მიერ ნაკითხულმა ქართული პოეზიის შედეგებმა; ბიოფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, **ხათუნა ინწკირველის**, მიერ შესრულებულმა რომანსებმა (აკომპანიმენტი: **თამარ არჩვაძე**); თსუ-ის სტუდენტების: **ტერეზა ფუნაშვილის** და **დიმარ კობეშვილის** მიერ შესრულებულმა სიმღერებმა; ასევე, **თეკლა გოგრიჭიანის** და **თორნიკე ქუთათელაძის** ქორეოგრაფიულ-

საქართველო სტუდენტები

ურთიერთთანამშრომლობის იმედით

ივნისის თვეში სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრს გერმანელი სტუმრები ეწვევნენ – გერმანიის საელჩოს განვითარების სფეროს სამსახურის უფროსი, **კატერინა დერკორნი** და ექსპერტი მიგრაციის საკითხებში, **ანა გორსი**. სტუმრებს, ასევე, შეხვდა თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა. შეხვედრის მიზანი გახლდათ მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვა.

მაგია, რომელიც საშუალებას იძლევა სასურველ ქრილში იქნას დანახული ადამიანის ნებისმიერი ორგანო. სტუმრები ნაზებით კმაყოფილი დარჩნენ. მათთვის ცხადი გახდა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს აქვს ჯანსაღი ამბიცია იყოს საუკეთესო ამიერკავკასიის რეგიონში. ევროპელი მეგობრების დახმარებით, თსუ-ს შეუძლია სრულყოფილი ტექნიკური შესაძლებლობანი და ეს ყველაფერი ქვეყნისა და რეგიონის სასარგებლოდ გამოიყენოს. სტუმარ-მასპინძლები მომავალი თანამშრომლობის იმედით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.



სტუმრებმა დაათვალიერეს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის ყველა სიმულატორი, რომელზეც სტუდენტები მუშაობენ, ასევე, ანატომიური

ნის სასარგებლოდ გამოიყენოს. სტუმარ-მასპინძლები მომავალი თანამშრომლობის იმედით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.


ახალი წიგნები

კლინიკის ტექნისტიკის

საქართველოში პირველად გამოცემულ ორგანოლოგიის წიგნი – „**ჰემატოლოგიის ატლასი**“, ნიგნის ავტორი, პროფესორი **თინათინ შველიძე**, თანაავტორები: **თამარ და ნიკოლოზ სარალიძეები**, **ლია მოხევიშვილი** ეყრდნობიან 50 წელზე მეტი ხნის მანძილზე თავიანთი კვლევის შედეგებს ადამიანის ძვლის ტვინის, პერიფერიული სისხლის, თავ-ზურგტვინისა და პლევრო-პერიტონეალური სითხის ნიმუშებზე უჯრედთა კულტივირების ორგანოლოგიური მეთოდების გამოყენებით.

ელექტრონულ-მიკროსკოპული მეთოდის გამოყენებით პირველადაა გაანალიზებული **chlamydia trachomatis** განვითარების უჯრედული ციკლი ადამიანის მიკროფაგებში; პირველად იქნა გამოყენებული ადამიანის ლეიკოციტების კულტურა **chlamydia trachomatis** მიკრობთა გამრავლების და ინფექციის ფარულად მიმდინარე ფორმების დიაგნოსტიკის მიზნით, როგორც მოზრდილებში, ისე ბავშვებსა და ახალშობილებში.

ნიგნის რეცენზენტები არიან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **ზ. ცაგარელი** და **ი. მესტიაშვილი**. პროფესორ **ზ. ცაგარელს** აღნიშნული ატლასი სამაგიდო წიგნად მიაჩნია არა მარტო ჰემატოლოგიის, ციტოლოგიისა და მორფოლოგიისთვის, არამედ ყველა კლინიკისტი ექიმისთვის, რადგან წარმოდგენილი მასალა მოიცავს კლინიკური მედიცინის ყველა სფეროს: ჰემატოლოგიას, ონკოლოგიას, მეანობა-გინეკოლოგიას, კარდიო-რევმატოლოგიას, ინფექციურ დაავადებებს, სპორტულ მედიცინას, ტრანსპლანტოლოგიას, აუტოიმუნურ და ალერგიულ დაავადებებს ორგანოლოგიური მიკროფაგოზებითა და ელექტრონოგრაფიით. ამასთანავე, რეცენზენტი ატლასში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთად მიიჩნევს ლიმფომის მასალას, მათ შორის, ისეთი იშვიათი ფორმების, როგორიცაა სეროზული გარსების და ცენტრალური ნერვული სისტემის ლიმფომები; ამ დროს უჯრედის და ქსოვილის კულტურის კვლევა საშუალებას იძლევა, დაზუსტდეს დიაგნოზი და განისაზღვროს დაავადების ავთვისებიანობის ხარისხი ატიპური ლიმფოციტური უჯრედების **in vitro** გამოვლენის და გამრავლების მიხედვით, რაც თანამედროვე ონკოჰემატოლოგიის აქტუალური პრობლემაა და ამ თვალსაზრისით პრინციპულად ახალ სადიაგნოსტიკო მიდგომას გულსახმობს; მნიშვნელოვანია ავტორთა ჯგუფის მიერ პირველად გამოკვლეული მაკროფაგო-ლიმფოციტური როზეტების წარმოქმნის ფენომენი; კვლევის



პროფესორ **ი. მესტიაშვილის** შეფასებით, „**ჰემატოლოგიის ატლასი**“ სამედიცინო საზოგადოებისთვის შესანიშნავი საჩუქარია და განსაკუთრებულად მისასალმებელია, პირველად ქართულ ენაზე, ასეთი ატლასის გამოცემა. მისი შეფასებით, უცხოურ ატლასებთან შედარებით, ამ ატლასს დიდი უპირატესობა აქვს, რადგანაც უცხოური ატლასების უმეტესობა ძირითადად მედიცინის ერთ რომელიმე დარგზეა ორიენტირებული, წინამდებარე ატლასი კი არა მარტო ჰემატოლოგიას, არამედ მედიცინის რამდენიმე სფეროს მოიცავს. რეცენზენტი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ატლასი სამედიცინო, ტექსტი მომზადებულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, რაც უცხოელ მედიკოსებსაც აძლევს საშუალებას ატლასით სარგებლობისა. ატლასს მიმზიდველს ხდის დიზაინიც – მაღალი პოლიგრაფიული დონითა და ფერადი ილუსტრაციებით.

